

ასე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

13.09.2010 N 122

თბილისი

უცხოური ენების სწავლების

გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის/უფროსი მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შემოწმდეს შესაბამის პედაგოგთა ცოდნის დონე ინგლისურ ენაში და ამ მიზნით ჩამოყალიბდეს საორგანიზაციო-ტექნიკური ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - გიორგი აბრამიშვილი, სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი – კომისიის თავჯდომარე;
 - დავით კაპანაძე, ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
 - თამარ ლომინაძე, ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების სრული პროფესორი – კომისიის წევრი;
 - მზია კვიციანი, სისტემებისა და ქსელების მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
 - თეა თოდუა, ხელოვნური ინტელექტის მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
 - თალიკო ჟვანია, ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
 - არჩილ ბარბაქაძე, სამსახელო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი.

2. ჯგუფს დაევალოს:
 - ა) განახორციელოს ტესტირების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
 - ბ) შეადგინოს ტესტირებაში მონაწილე პედაგოგების სია და ტესტირების გრაფიკი;
 - გ) უზრუნველყოს პედაგოგებისთვის ინსტრუქციისა და ტესტირების თარიღების დროული მიწოდება;
 - დ) ჩაატაროს ტესტირება დადგენილ ვადებში;
 - ე) აცნობოს ტესტირებულებს მათი შედეგები ტესტირების დამთავრებისთანავე.

3. ტესტირების პროცედურასთან და შედეგებთან დაკავშირებული შესაძლო პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

